<u>დანართი № 1</u>

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იწყებს განცხადებების მიღებას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავების მიზნით

I. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებები მიიღება 2012 წლის 12 ნოემბრიდან - 2012 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით (18.00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114, ტელეფონი/ფაქსი: 32 2 29 42 88.

II. დაინტერესებული პირის განცხადებასთან (განცხადება უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სახელზე და მასში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება) ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. ორი ფოტოსურათი (3X4);
4. უმაღლესი განათლების (არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო ხარისხის) დამადასტურებელი დოკუმენტი);
5. შესაბამისი ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (არაუმეტეს 5 გვერდი);
6. ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
7. ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
8. 2 რეკომენდაცია.

III. შესაბამისი კანდიდატურების შერჩევის შემდგომ, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან ჩატარდება გასაუბრება 2012 წლის 12-14 დეკემბერს (გასაუბრების ეტაპისათვის შერჩეულ პირებს გასაუბრების ზუსტი დრო ეცნობებათ დამატებით, ასევე გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsu.edu.ge).